დინამოელებმა კარგად ითამაშეს

ერევანი. “რაზდანის” სტადიონი. 13 ოქტომბერი.

“არარატი” (ერევანი) – “დინამო” (თბილისი) 2:2 (0:1).

“არარატი”: აბრამიანი, არუთინიანი (პეტროსიანი), სარქისიანი, მარტიროსიანი, მესროპიანი, ანდრეასიანი, ბონდარენკო, იშტოიანი, მარქაროვი, ზანაზანიანი, ღაზარიანი.

“დინამო”: გაგოშიძე, მჭედლიშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. მაჩაიძე, ესებუა (რეხვიაშვილი).

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 2:0.

შეიძლება ეს ჟურნალისტური შტამპია, მაგრამ უკეთეს განმარტებას იმ მდგომარეობისთვის, რომელიც ჩემპიონატის ცხრილში იყო შექმნილი 13 ოქტომბრის ტურის დღეს, ვერ იპოვი: ორივე გუნდს ჰაერივით ესაჭიროებოდა ქულები. მართლაც, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მატჩის შედეგს მასპინძლებისთვისაც და სტუმრებისთვისაც.

“არარატმა” სეზონის დასასრულს “მიაგნო” თავის შარშანდელ თამაშს, შევიდა ფორმაში და ახლა რამდენიმე გუნდთან ერთად სავსებით რეალური შანსი აქვს ერთ–ერთ საპრიზო ადგილზე გასვლისა. საამისოდ იგი, რა თქმა უნდა, არ იშურებს ძალებს, მით უმეტეს, რომ დარჩენილი თამაშების მეტი წილი შინა აქვს ჩასატარებელი. თბილისელთა გეგმები წლეულს გაცილებით უფრო მოკრძალებულია, მაგრამ მათ მაინც აქვთ გარკვეული მიზანი, რომლის მისაღწევადაც თავი არ უნდა დაზოგონ არც საკუთარ სტადიონზე, არც სტუმრად. გადახედეთ სატურნირო ცხრილს და დარწმუნდებით, რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ჩვენი გუნდი, ერევანში რომ დამარცხებულიყო…

ტრადიციულად ძნელ მატჩში თბილისელმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ ითამაშეს. ფეხბურთის მოყვარულებმა შეხვედრა მთლიანად ნახეს ტელევიზიით და დაგვერწმუნებიან, რომ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: დინამოელები მობილიზებული იყვნენ, იბრძოდნენ სრული მონდომებით, ენერგიულად, გაშლილი ფრონტით, კარგი ურთიერთმოქმედებით, ხშირი, სწრაფი იერიშებით. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო პირველ ტაიმში, როცა მასპინძლებს არაერთ ურთულესი მდგომარეობიდან მოუხდათ თავის ხსნა. რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტი შეიქნა “დინამოს” კართანაც, სადაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა დაცვის მთელი ხაზი, ხოლო მეკარე გაგოშიძემ ზედიზედ აიღო ძნელი ბურთები, შესანიშნავად ითამაშა, თითქმის უიმედო სიტუაციებშიც კი.

ანგარიში მე–14 წუთზე გახსნა ასათიანმა: მ. მაჩაიძის მიერ მარცხენა ფლანგიდან მიწოდებული ბურთი მან ოსტატურად, ზუსტად დაარტყა თავით მაღალ კუთხეში – 1:0.

შესვენების შემდეგ თბილისელთა აქტიურობამ, სისწრაფემ და ტემპმა საგრძნობლად იკლო, რამაც საშუალება მისცა “არარატს” ინიციატივას დაუფლებოდა. მასპინძლები სულ უფრო ხშირად უტევდნენ. მათ საშუალება მიეცათ მცველის ნაცვლად თავდამსხმელი გამოეყვანათ და იერიშისთვის განუწყვეტელი ხასიათი მიეცათ. ერთ–ერთი ამ იერიშის დროს დინამოელთა კარის სიახლოვეს ხელით თამაშისთვის ვ. ლიპატოვმა პენალტი დანიშნა, რომელიც ზუსტად გამოიყენა იშტოიანმა, ცოტა ხნის შემდეგ კი ხურცილავას და მარქაროვის შეტაკებისას მსაჯმა

კვლავ აღნიშნა წესის დარღვევა და ხელმეორედ მისცა ერევნელებს 11–მეტრიანი საჯარიმო დარტყმის შესაძლებლობა. იშტოიანმა ამჯერად ვერ გამოიჩინა სიზუსტე და ძელს მოახვედრა ბურთი.

თამაში უკიდურესად დაიძაბა. 83–ე წუთზე კარის წინ ღიად დარჩენილმა ლაზარიანმა მიიღო გადაცემა და თავით გადაუგდო მეკარეს ბურთი შორეულ კუთხეში – 2:1.

დარჩენილი იყო სულ 7 წუთი და ამ მცირე დროში დინამოელებმა ყველაფერი გააკეთეს წაგებული მატჩის სახსნელად. მთელი გუნდი შეტევაზე გადავიდა, მასპინძელთა კართან გადაიტანა თამაში და შეძლო იმ ქულის გადარჩენა, რომელიც ასე ესაჭიროებოდა. 87–ე წუთზე კარიდან დაახლოებით 18 მეტრის მანძილზე დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. დაარტყა ხურცილავამ. ბურთი კარს ასცდა, მაგრამ, ვინაიდან არ იყო დაცული 9–მეტრიანი დისტანცია, მსაჯმა გაამეორებინა დარტყმა. ჭელიძემ დაბალი ბურთი გაგზავნა კარში, აბრამიანმა დააგვიანა და ბურთი კარში შეგორდა – 2:2.

საჭიროდ მიგვაჩნია პრეტენზია გამოვთქვათ ვ. ლიპატოვის მსაჯობის მიმართ. თბილისელები იერიშებს უმთავრესად წარმართავდნენ მარჯვენა ფლანგიდან, სადაც საუცხოოდ თამაშობდა გუცაევი. მისი ნეიტრალიზება მცველებმა ვერაფრით ვერ შეძლეს და მიმართეს აშკარა, დაუფარავ უხეშობას. საკმარისი იყო გუცაევს გვერდი აევლო მცველისთვის, რომ მაშინვე აკრძალული ხერხით წააქცევდნენ. “ტაქტიკური ფოლი” ცნობილია ფეხბურთში, მსაჯი ვალდებულია მას ულმობლად ებრძოლოს, ლიპატოვი კი საჯარიმოების ფორმალური დანიშვნით იფარგლებოდა და არ მიმართა საჭირო ზომებს, რათა გუცაევს შესაძლებლობა ჰქონოდა ნორმალურ პირობებში გამოეყენებინა თავისი უპირატესობა ტექნიკასა და სისწრაფეში.

“ლელო”, 15 ოქტომბერი, 1974 წ.